ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7415283

ნომერი: AR11081481

თარიღი : 11.03.2025

გაცემის თარიღი : 18.03.2025

გაცნობის თარიღი : 18.03.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ; ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ ჯინჭარაძე პ/ნ 01025001988
- თბილისი დიდი დიღომი დ.თავდადებულის ქ. N 20 ბ. 31

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 04 დეკემბრის №7309429 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 11 მარტს №AR11081481 განცხადებით მომართა მიხეილ ჯინჭარაძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 04

დეკემბრის №7309429 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 04 დეკემბრის №7309429 ბრძანებით შეთანხმდა №01.72.14.300.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 4 დეკემბრიდან 2026 წლის 4 აპრილის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
სამსახურის 2024 წლის 11 დეკემბრის №7316042 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2024 წლის 04 დეკემბრის №7309429 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირდა ღია ავტოსადგომების ფართობი 36 კვ.მ. ამავე ბრძანებით შეთანხმებული 0.00 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდა წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმით.
განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2024 წლის 11 დეკემბრის №7316042 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დამხმარე ფართობად 15.8 კვ.მ-ის ნაცვლად 26.6 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 5938.2 კვ.მ-ის ნაცვლად 5949 კვ.მ-ის დაფიქსირებას. ამასთან, წარმოდგენილი გეგმების ჩანაცვლებას.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გეგმები და შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, შეთანხმებული გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება წარმოდგენილ გეგმებზე ექსპლიკაციის დაზუსტება.
საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განცხადების რეგისტრაცია: №892024889442 მომზადების თარიღი: 06/12/2024წ.) №01.72.14.300.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ლიბრა ქონსტრაქშენი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: №400229560).
მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B23155801, მომზადების თარიღი: 31/10/2023წ.) მიხედვით, შპს „ლიბრა ქონსტრაქშენის“ ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს მედეა გიორგაშვილი. 2024 წლის 21 ოქტომბრის №AR11062788 განცხადებაზე წარმოდგენილი 2024 წლის 02 მაისის №240537806 მინდობილობით განმცხადებლის - მიხეილ ჯინჭარაძის უფლებამოსილება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 04 დეკემბრის №7309429 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 04 დეკემბრის №7309429 ბრძანებაში და ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში დამხმარე ფართობად დაფიქსირდეს 26.6 კვ.მ., საერთო ფართობად 5949 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 04 დეკემბრის №7309429 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 04 დეკემბრის №7309429 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 04 დეკემბრის №7309429 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.